ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302519968**
თარიღი: **18/07/2025**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სსიპ ,,სურსათის ეროვნულ სააგენტოსთვის“, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, 2025 წლის 30 ივნისის N 09/ 5285 წერილით, მომართა სსიპ ,,სურსათის ეროვნულ სააგენტოს“ უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი იაკობაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სააგენტოს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების (მათ შორის მცენარეთა დაცვის კუთხით, მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებების ჩატარება) განსახორციელებლად, ესაჭიროება საოფისე ფართი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს თავმჯდომარემ ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩა N126-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებულ საოფისე ფართების, კერძოდ 35,70 კვ.მ.-ი N101 (ს/კ 27.06.51.005 01/101) და 17.20 კვ.მ.-ი N113 (ს/კ 27.06.51.005 01/113) ოთახების უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემა.

,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და

ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გარდა თბილისის მუნიციპალიტეტისა, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონებას უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე, გადასცემს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებსა და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ განიხილოთ მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ ,,სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის“, ორი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი და მოგვცეთ თანხმობა.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსის ვარდენ კვაჭაძის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

მარშალ გელოვანის გამზ. N36ა
0159 თბილისი, საქართველო
(+995 32) 91 91 67
info@nfa.gov.ge

03 ივნისი 2025

N 09/5285

ქ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო გურიის რეგიონული სამმართველო ქ. ლანჩხუთში კოსტავას ქ. N33-ში ფლობს 71.4 კვ.მ საოფისე ფართს, რომელიც ავარიულ მდგომარეობაშია.

საქართველოს კანონის, სურსათის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის თანახმად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიზანია: ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მომხმარებელთა ინტერესების, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, მცენარეთა სიჯანსაღის დაცვა, აგრეთვე სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა და სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, რომლის ფუნქცია-მოვალეობებში შედის საქართველოს რეგიონალური მასშტაბით რისკის მართვის, სურსათისა და ცხოველური საკვების უვნებლობისა და ხარისხის დაცვის, აგრეთვე ცხოველთა ჯანმრთელობისა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფა, რომელსაც ეროვნული სააგენტო ახორციელებს კოდექსის შესაბამისად.

ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ვინაიდან რეგიონში განსაკუთრებულ გამოწვევად რჩება მცენარეთა დაცვის კუთხით მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებების ჩატარება, შესაბამისად სააგენტოსათვის აუცილებლობას წარმოადგენს სათანადოდ აღჭურვილი ინფრასტრუქტურის განვითარება.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სურსათის ეროვნულ სააგენტოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში კანონმდებლობით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად, ესაჭიროება საოფისე ფართი. ჩვენს მიერ ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქ. N126-ში შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე მოძიებული იქნა საოფისე ფართი (ოთახი N101 საკ. კოდი N27.06.51.005.01.101 და ოთახი N113 საკ. კოდი N27.06.51.005.01.113 **იხ. დანართი**).

გთხოვთ, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადმოცემის პროცედურების წარმოება. ამასთან დაკავშირებით სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო წარმოგიდგენთ უფლებამოსილ პირს გურიის რეგიონული სამმართველოს უფროს ინსპექტორს ნუგზარი ჟოჟიკაიშვილს (პირადი ნომერი 26001030732 საკონტაქტო ტელ. N595075679) საოფისე ფართის გადმოცემასთან დაკავშირებული პროცედურების განსახორციელებლად: ხელშეკრულებაზე, მიღება-ჩაბარების აქტზე, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის, ხელმოწერის უფლებით

გიორგი იაკობაშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

https://edocument.ge/mea/public/#/5285-09-2-202506031431

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
2025 წლის ივლისი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სსიპ ,,სურსათის ეროვნულ სააგენტოსთვის“, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ ,,სურსათის ეროვნულ სააგენტოს“, მისი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ორი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩა N126-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებულ საოფისე ფართები, კერძოდ 35,70 კვ.მ.-ი N101 (ს/კ 27.06.51.005 01/101) და 17.20 კვ.მ.-ი N113 (ს/კ 27.06.51.005 01/113) ოთახები.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 27.06.51.005.01.101

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882017695963 - 02/08/2017 16:56:08

მომზადების თარიღი
08/08/2017 11:33:02

საკუთრების განყოფილება

მონა ლანჩხუთი	სექტორი ლანჩხუთი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
27	06	51	005	01/101

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი:1501.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:

მისამართი: ქალაქი ლანჩხუთი , ქუჩა ჟორდანია , N 126

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882017564976 , თარიღი 28/06/2017 10:52:20
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 18/07/2017

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N249 , დამოწმების თარიღი:26/03/2015 , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი
- ბრძანება N1/1-977 , დამოწმების თარიღი:24/03/2015 , სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
- წერილი N4230 , დამოწმების თარიღი:13/07/2017 , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
- ბრძანება N53 , დამოწმების თარიღი:04/03/2016 , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი
- წერილი N1879 , დამოწმების თარიღი:03/11/2015 , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

მესაკუთრეები:
სსიპ თვითმმართველი თემი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი ID ნომერი:233730139

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:		ფართი:	წილი:
სსიპ თვითმმართველი თემი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	საკუთრება	ფართი N101	სართული2,	35.70 კვ.მ.	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 27.06.51.005.01.113

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882017695963 - 02/08/2017 16:56:08

მომზადების თარიღი
08/08/2017 11:45:03

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
ლანჩხუთი	ლანჩხუთი			
27	06	51	005	01/113

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი:1501.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:

მისამართი: ქალაქი ლანჩხუთი , ქუჩა ეთრდანია , N 126

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882017564976 , თარიღი 28/06/2017 10:52:20
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 18/07/2017

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N249 , დამოწმების თარიღი:26/03/2015 , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი
- ბრძანება N1/1-977 , დამოწმების თარიღი:24/03/2015 , სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
- წერილი N4230 , დამოწმების თარიღი:13/07/2017 , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
- ბრძანება N53 , დამოწმების თარიღი:04/03/2016 , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი
- წერილი N1879 , დამოწმების თარიღი:03/11/2015 , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

მესაკუთრეები:
სსიპ თვითმმართველი თემი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი ID ნომერი:233730139

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:	ფართი:	წილი:
სსიპ თვითმმართველი თემი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	საკუთრება	ფართი N113	სართული2, 17.20 კვ.მ.	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

შენობის გეგმა მეორე სართული

masStabi 1:150



N101 farTi 35.7m²	N106 farTi 17.2m²	N111 farTi 17.2m²	N116 farTi 43.9m²
N102 farTi 36.3m²	N107 farTi 17.2m²	N112 farTi 17.2m²	N117 kibis ujredi 23.6 m²
N103 farTi 17.6m²	N108 farTi 17.2m²	N113 farTi 17.2m²	N118 saerTo sargeblobis farTi 49.2 m²
N104 farTi 17.2m²	N109 farTi 37.4m²	N114 farTi 17.2m²	N119 kibis ujredi 18.2 m²
N105 farTi 17.2m²	N110 farTi 62.2m²	N115 farTi 37.6m²	